



სვანური მხარე:


— ამხანაგებო, შვიდი ნომბრის საზეიმო დღეს, თქვენს გულთბილ სალამს მე შემოდია მხოლოდ ჩვენი ბელადის სიტყვებით ვუპასუხო: „ახლა, როცა ჩინეთიდან და კორეიდან ჩეხოსლოვაკიამდე და უნგრეთამდე გაჩნდნენ ახალი „დამკვრელი ბრიგადები“ სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების სახით, ახლა ჩვენს პარტიას ბრძოლა გაუადვილდა და მუშაობაც უფრო სახალისო გახდა!“

ნან. ა. ბანძელაძისა


ს ა ნ ბ ი




ხარობს მშვიდობის ყველა ერთგული დიდი ოქტომბრის მზის სინათლეში, ლამის ყაჩაღებს კი ომი უნდათ, წყვილია უნდათ, მსხვერპლი და ღეში!



შუქს ღამურები ემადებიან და ბანკირების მსგავსი ჯოტები, საბჭოთა ყოველ დღის ბრწყინვადებას შემოჰყურებენ გაბოროტებით!



მშრომელი კაცის ხედმა დააშრო ქვეწარმავალთა ბუდე-ჭაობი, ხაღხს გამარჯვებულს ვერვინ დაჩაგრავს კვდავ სიღარიბით და ბეჩაობით!



ექსკავატორით ამოთხრილია ვინც ეს ცხოვრება დააჭაობა: ჩარჩი - გომბეშო, ბლენძი - მევახშე და მთელი მათი ნათესაობა!..

დელი-ოღილავაქი

თქვალის ერთი გადავწყობებით

ქვეყანა-საკაცობილა

გაზეთ „ჯუმბურეთის“ ცნობით, თურქეთის მთავრობამ ამ დღეებში დაამტკიცა... ციხეების მშენებლობის ათწლიანი გეგმა.

პირდაპირ საზეიმო ვითარებაში აცნობა თავის ხალხს მთავრობამ ეს დადგენილება და მათ ერთხელ კიდევ გაუხარა გული. მართლაც და როგორ არ უნდა უხაროდეს მრავალტანჯულ თურქ მოქალაქეს თავისი მთავრობის ასეთი ზრუნვა?

თუ გაითვალისწინებს, რომ ამერიკელი აგრესორებისათვის მიყიდული დივიზიების გარდა, თურქეთში კიდევ რჩებიან ადამიანები, ქველა თურქს შეუძლია იმედი იქონიოს, რომ მისი საყვარელი მთავრობა მას ბინას მიუჩენს საპრობილედ გადაქცეულ თურქეთის ახალ ციხეებში.

ოკი უხის მნიშვნელობა

ინგლისის ბურჟუაზიულმა პრესამ ამ ბოლო დროს მოუხშირა ხმაშალა წუწუნს იმის შესახებ, რომ ამერიკის ეკონომიურმა და სამხედრო მეტოქეობამ ინგლისის საბოლოოდ დააქვეითაო.

ამ საერთო ჭეშმარიტების წინააღმდეგ გაილაშქრა ამ დღეებში გაზეთმა „დელი კომპასმა“, რომელმაც გამოაცხადა: ინგლისმა ამჟამად უკვე მიაღწია ისეთ მდგომარეობას, როცა ის ორივე ფეხზე დგასო.

ამით სახუმარო საზრდო მისცა გაზეთმა ენამახვილ ჟურნალისტებს. ოლონდაც, ამერიკელ აგრესორთა ყმად გადაქცეულ ინგლისს მართო ცალ ფეხზე დგომა რომ შესძლებოდა, როგორღა ატარებდა თავისი ზურგით ამერიკელ გენერლებს?

სურის მოთქმა, თუ სურის ამოხრა

საფრანგეთში დღითიდღე აუტანელი ხდება ამერიკელთა ბატონობა. ამას ქარაგმებით გამოხატავს პრესაც, მაგრამ გაზეთები ხმამაღლა ვერც კი ბედავენ ამერიკელთა ტერორის შესახებ აშკარად წერას.

ამ დღეებში გაზეთმა „ორარ ფრანს ლიბრმა“ ასეთი ქარაგმებით სავსე სტატია მოათავსა, რომელშიც ნათქვამია: „საფრანგეთი გარკვეულ შესვენებას მოითხოვს, რომ სული მოითქვას, მაგრამ საჭიროა ისეთი მდგომარეობა, რომ სულის მოთქმის შემდეგ იგი კვლავ არ დაიხრჩოს“.

ნუ გაუკვირდება მკითხველს, როცა გაიგებს, რომ გაზეთი საფრანგეთის დახარჯობის მიზეზად „ამერიკის დახმარებას“ ასახელებს. მართლაც და სულის მოთქმა როგორ შეუძლია ავადმყოფს, როცა მას სულთამხუთავი თავთან უხის?

უჩინებანი

ოქტომბრის დასაწყისს, ოცდაათამდე კაცი პარტიის რაიკომში გამოგვიძახეს და ჩვენს რაიონში შემავალ სოფლებში გაგვანაწილეს საზეიმო საღამოებზე მოხსენების ჩასატარებლად. წარმოიდგინეთ, როგორ ავლელდი... ის კი არა, ჯერჯერობით თავისუფლად გაკვეთილის გადაცემასაც ვერ შევეჩვიე და აი, 22 წლის ქალიშვილი უნდა წარემდგარიყავი კოლმეურნეთა წინაშე მოხსენებით.

გამოგიტყდებით, ასე სერიოზულად სახელმწიფო გამოცდებისათვის არ მოგწადებულვარ. მოხსენება რამდენჯერმე გატავლებული და ბოლოს ისე დავიხეპირე, როგორც ჩემი მოწაფეები კარგ ლექსებს იხეპირებენ ხოლმე, გრძნობით, მთელი გულით.

ქალაქიდან იმ სოფლამდე, სადაც 5 ნოემბერს ჩემი მოხსენება უნდა შემდგარიყო, ოცდაათამდე კილომეტრია. შუადღით კოლმეურნეობის ავტომ გამოვიარა. რამდენს არ შემიხვეწენ, კაბინაში ჩავმჯდარიყავი, მაგრამ აბა იქ რა ჩამავამდა. ის მხარე დავლილი არ მქონდა და ავტოს კაბინიდან რას ვნახავდი?

შემოდგომის ნათელი დღე იყო, ისეთი დღე, როგორც შავი ზღვის სანაპიროებზე იცის ხოლმე, როდესაც ცა მოწმენდილია, ზღვა მშვიდია და სიყვითლემშებარულ ხის კენჭროებს ნიავეცი კი არ არხვეს...

ქალაქის განაპირას, ჩაის ფაბრიკასთან ჩემი თანამგზავრი აგრონომი ჩამოხტა და მის ნაცვლად ახალგაზრდა ვაჟი ამოვიდა. შორიდან ვიცნობდი ვაჟას. მისი სურათი ჩვენი რაიონის სოფლის მუშაკების მოწინავეთა დაფას აქშვევებდა.

ავტო გაქანდა და გაჰყვა გუდაუთისაკენ მიმავალ შარაგზას. ვაჟა ჩემს გვერდით მოეწყო, ქული მოიხადა, შუბლი ავტოზე მონაბერ ქარს მიუშვირა და ცნობისმოყვარე თვლებით მე შემომაცქერდა.

გზა ზღვისპირს მიყვებოდა. ზღვაზე დელფინები დაცურავდნენ. ხან თავს ამოჰყოფდნენ, ხან ჩაიმალებოდნენ, თითქოს ვილაცის უხილავი გოლიათური ხელა შავ ლოდებს ისვრის ზღვის ზედაპირზე.

ვაჟა, ჩემს ხელმარცხნივ, ზღვის მხარეზე იჯდა. აბა, როგორ არ უნდა მეცქირა დელფინების ცელქობისათვის, ან ფირუზისფერ ზღვისათვის?.. შევხედავდი და ძალაუნებურად მის ზღვასავით უძირო თვლებს წავაწყდებოდი ხოლმე.

ერთი-ორჯერ ვაჟამ დალაპარაკება სცადა, მაგრამ წაუყურე, თითქოს მანქანის ხმაურში ვერ გამეგოს ნათქვამი.

უცებ ავტო ირიბულად გადაიხარა და ვაჟას რომ ხელი არ შემოეშველებინა, აუცილებლად მანქანიდან გადავვარდებოდი. ერთ წუთს თითქოს შევბოვნი: ამოვისუნთქე ავტოს ბორბლების ქვეშ რომ არ მოვყევი, მაგრამ მეორე წუთს მის მკლავებქვეშ რომ აღმოვჩნდი, საშინლად დავიბენი. ავტო რომ სწორ გზაზე გავიდა, ვაჟამ მაშინვე ხელი შემიშვა...

სოფელში აღრე ჩავედით. საზეიმო კრების დაწყებამდე საკმაო დრო დარჩენილიყო. ვაჟა მარტო ხომ არ დამტოვებდა. მასთან თავი უხერხულად რომ არ მეგრძნო, თავისი უმცროსი და, მოსწავლე გოგონა წამოიყვანა და ასე მომატარა ჩაისა და თამბაქოს პლანტაციები, მანდარინისა და ფორთოხლის ხეივანი...

საზეიმო საღამო მოგვიანებით დაიწყო. სადღესასწაულოდ მორთული კლუბი ხალხით იყო სავსე. საღამო კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გახსნა და სიტყვა მოხსენებისათვის მე მომცა. მანამდე, გამოგიტყდებით, ისე ვლელავდი, რომ სცენაზე მაგიდასთან მჯდომს, თავი მალდა არც კი ამიწევია. ტრიბუნაზე რომ ავედი, ერთ წუთს დარბაზს მოვავლე მზერა

და რას ვხედავ, ვაჟა აგერ პირველ რიგში არ წამოსკუბებულა?! ზღვასავით უძირო თვლები კიდევ უფრო ფართოდ გაუღია და ასე შემომცქერის. საოცარია, იმდენ ხალხში რაღა მხოლოდ მისი თვლები შევნიშნე.

მოხსენება კარგად ჩატარდა, არ შევცხვენელივარ.

მე როდი ვიცოდი და აქ თურქე საზეიმო საღამოზედაც შეკითხვები ცოდნიათ. რა არ აინტერესებდათ ჩვენს კოლმეურნეებს: კორეის ომიდან დაწყებული ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებამდე, ჩვენი სამშობლოს სასახელო გამარჯვებანი, კომუნისზმის დიადი მშენებლობანი. წარმოიდგინეთ, ახალგაზრდებმა ისეთი შეკითხვები მომაყარეს, მორალის მქადაგებელსაც გაუჭირდებოდა მათზე პასუხის გაცემა.

შეკითხვები თითქმის ამოწურული იყო, როცა ვაჟა წამოდა და შეკითხვისათვის სიტყვა ითხოვა. შორიდან დაიწყო ლაპარაკი. ოქტომბრის დიადი დღეები ახსენა და ის ბედნიერება, რაც ოქტომბერმა მოუტანა საბჭოთა კავშირის ხალხებს. ილაპარაკა საბჭოთა ახალგაზრდობის მაღალ მორალურ თვისებებზე, საბჭოთა ქალ-ვაჟის დიად და უძირო გრძნობებზე, რომელმაც გაუძლო ათეული წლების მძიმე გამოცდებს, სამოქალაქო და სამამულო ომის ქარ-ცეცხლს. სიყვარული ბრძოლის დროს შორიდან ამხნევებდა ახალგაზრდობას, მაგრამ ახლა, შრომის დროს ხომ არ უშლის ხელს?.. აქამდე ვაჟა დაღვებულად ლაპარაკობდა, მაგრამ შეკითხვის საგნამდე რომ მივიდა, სიტყვები ისე დახლართა, რომ ვერ გავიგე, თუ რის თქმა უნდოდა. ბოლოს სულ დაიბნა, მეტი ვერაფერი მოახერხა და პირდაპირ იკითხა:

— რა არის სიყვარული?

დარბაზში ჩაიციენს. ისევე დავიბენი, როგორც მაშინ, გზაზე ავტოდან რომ ვვარდებოდი, მაგრამ ჩქარა გონს მოვედდი, აზრი მოვიკრიფე და ასეთ უაზრო შეკითხვას შეკითხვითვე ვუპასუხე:

— თქვენ რომელი სიყვარული გაინტერესებთ და გულსა გწვავთ, ამხანაგო, უიმედო, თუ იმედისანი მეთქი?

დარბაზი ხარხარმა გააყრუა. მაშ რა ეგონა! აბა, მითხარით, საზეიმო საღამოზე შეიძლებოდა ასეთი უცნაური შეკითხვის მიცემა?..

ხომ ასე ვუპასუხე, მაგრამ გულში მაინც რაღაცამ გამკენწლა, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკოლმეურნეო თვითმოქმედმა გუნდმა უიმედო სიყვარულზე სიმღერა შემოსძახა და ყველანი ღიმილით ვაჟას შეაცქერდნენ.

— ვინ იცის, — გავიფიქრე, — ეგებ იმ ვაჟს ვინმემ გული დაუკოდა და მე კი ცეცხლს ნავთი დავასხი!.. — მაგრამ, რატომღაც ეს ამბავიც კი გულს მიკლავდა.

იცით, არცთუ ისე შესაცოდი ყოფილა. იმდენი ქნა, თავის დედ-მამასა და დებს (ოთხი ჰყავდა, ერთმანეთზე უკეთესები!) ჩემი თავი დააპატიებინა. და ეს ყველაფერი ისე მოაწყო, რომ მანამდე არც კი ვიცოდი სად მივდიოდი, სანამ უცხო სახლში ფრონტზე გადაღებული ვაჟას სურათი არ ვნახე კედელზე მოთავსებული. მხოლოდ მაშინ მივხვდი, თუ ვისთან ვიყავი, მაგრამ უკვე გვიანდა იყო...

მეორე დღეს თვითონ გამაცილა ქალაქამდე. არც ავტოზე მონაბერი ქარი და არც სხვა რამ ხელს არ გვიშლიდა, მთელი გზა გვესაუბრა და, როგორ ფიქრობთ, ჩემს ბინაზე მისვლამდე მაინც მათქმევინა პასუხი წინაღამეს მოცემულ შეკითხვაზე.

შვიდი ნოემბრის საზეიმო პარადზე მე და ვაჟა ერთად მივდიოდით მხარდამხარ, ერთად ვმღეროდით სიხარულზე, ბედნიერებაზე, სიყვარულზე...

ნონას მარკის პიანინო



ეს ამბავი გასართობად მოგონილი არ გვეგონათ, — სინამდვილეა.

საოცარი ბუნების ქალი გახლდათ ქალბატონი ნონა. ყველაფერი უცხოური მოსწონდა.

— ქალო, აქ ლომის თავი კი არა, კატის თავი არ არის გამოსახული, სადაური ინდიგოა! — არწმუნებდა მას ხშირად მეუღლე, რომელიც, ნონას თქმის არ იყოს, თავისი თანამდებობის მიხედვით თითქმის მინისტრად ჩაითკლებოდა.

— ინდიგოა, ინდიგო, გამოართვი! — გაჰკიოდა ნონა და გულშელონებული ქმარი იძულებული იყო გადაეყვინებინა საგან სისხლის ფასად შეეძინა ძაღლამპალი საქონელი.

ასეთივე სურათი მეორდებოდა ფეხსაცმელ-საცვალ-ქინძისთავეების ყიდვისას.

— რა ვუყოთ, თუ ძირი მიწებზე ბული აქვს, უცხოური წებოს ვერც ნიღვარი, ვერც თოვლ-ქუაბი ვერ გააღლობს!

— საცვლები გაიწვლება, ან მე გადავალ დიეტაზე და ვაგებები, თურმე უცხოეთში ისეთი თხელი, ისეთი კაფან-დარა ქალებია მოდაში — ნემსის უნწშიაც კი გაძვრებიანო. — ტიტინებდა ნონა...

ერთი სიტყვით, ყველაფერს უცხოურს სცემდა თავიანთს ჩვენი ქალბატონი. ქმარსაც კი სახელი შეუცვალა: თომას მაგიერ „ტომასს“ ეძახდა. და, რაღა თქმა უნდა, რომ მშობლიურ მიწა-წყალსაც დაიწუნებდა:

— რად ვარგა ბაკურიანი სათხილამურეთ, აი, მესმის დავოსი!

— ბორჯომის ტყე რა ტყეა, ხელფეხს დაგიკარავს, მანქანას ვერ გაატარებ. აი, მესმის ბულონის ტყე!

— ქალო, რას ამბობ, იცოდე მაინც სადა არის დავოსი, ან ბულონის ტყე! — გაბედავდა ხანდახან მომინისტრო მეუღლე თომა, ანუ ტომასი ენის შებრუნებას.

ამას წინათ კი პირდაპირ სანიანგო ამბავი შეეძთხვა:

— გვრიტო, საოქტომბრო დღესასწაულის შესახებ რად მოვეზადოთ, იქნებ ვინმემ შემოიხედოს, არ შევრცხვეთ, კაცი ვარ და ქული მხურავს! — უთხრა თომამ თავის ნონას და გული შიშისაგან შეეკუმშა -- „ვაჰ თუ უცხოური ლოქოს ყიდვა დამავალოს საბურთალოს ბაზარში“, მაგრამ შეცდა...

ქალბატონი ნონა აღტაცებაში მოვიდა.

— მოვეზადოთ, მოვეზადოთ, ჩემო ტომას! სტუმრებიც მოვიწვიოთ, თვალს დავუყენებ მორთულობით შენი უფროსების ცოლებს, ალბათ, აქაურ ჯვალო-ჯლარკებში გამოწყობილნი მობრძანდებიან! — თქვა და გაბმულად ახვიებინდა, მაგრამ უცებ თვალები დაუმრგვალდა და ყურებამდე გახლეჩილი ტუჩები მოკუმბა.

— ჰა, რა იყო, რა მოგივიდა ქალო! — შეშფოთდა ქმარი.

— ის მომივიდა, რომ როიალი კი არა პიანინოც არა გვაქვს, რაზე დავამღერო „კაროზბოლინა კაროზბოლეთა“! — წამოიკანავლა გოდორივით გაბერილმა ნონამ, დოინჯი შემოიყარა და მეუღლეს ცეკვა-სიმღერით ძუნძულ-ძუნძულით ირგვლივ შემოუარა.

— გიყიდი, გიყიდი როიალს, იღონდ შესდექ! — შეეგებრა ქმარი.

— მიყიდი! — შესძახა გახარებულმა ნონამ, კისერზე ჩამოეკიდა და აჭიკჭიკდა: — მაშ ეხლავე მიმიწერე იასონ კერესელიძისთან ბარათი, დრმალეულში წავალ მუსიკალურ კომბინატში და ნადავლ უცხოურ საკრავებში ერთ რომელიმეს, ყველაზე კარგს, ყველაზე უცხოურს ავირჩევ!

— რა დროს ნადავლია, შე კაი ქალო, ის დამსხვრეული საკრავები რა ხანია გაასაღეს, ჩვენი საკრავი ვიყიდოთ, შესანიშნავ საკრავებს უშვებს თბილისის ფაბრიკა. ამ დღეებში გარდამავალი დროსაც კი მიიღო, — თქვა თომამ და ენაზე იკბინა — „ეს რა ვაგებდეთ“.

— არის, არის, ჩემო ტომას! სადაც კი დღეე ვქნებათ შემონახული ერთი ცალი მაინც. დაურეკე, ახლავე დაურეკე! — დაიყინა ნონამ და თავისი გაიტანა.

დაატრიალა ქმარმა ელსმენის რგოლი და — ვერც კი მოასწრო ფაბრიკის დირექტორთან ლაპარაკის დამთავრება, რომ ნონამ უცხოური ფეხსაცმელების ქუსლები კიბებზე ააბაკუნა.

— მე ნონა ვახლავართ, ჩემმა მეუღლემ სულ ახლახან დაგირეკათ! — განაცხადა ნონამ იასონის კაბინეტში შესვლისთანავე და თავის გვერდით მდგარ არქეოლოგიურ ეგზემლარზე ანიშნა. — ეს, მუსიო ტიგრანა, ექსპერტი ვახლავთ! ხომ არ გეწყინებათ, რომ მოვიყვანე?!

— არა, რატომ? ალბათ ეგეც მუსიკის ისეთი მცოდნე იქნება, როგორც ნაცვლიშვილი და ჩეტვერუხინია! — თქვა იასონმა და სამჯერ ზედიზედ ცხვირი დააცემინა („მუსიოს“ ტანსაცმელს ნაფტალინის სუნი ასდიოდა).

— ეგ საკრავები ხომ სულ აქაურებია, აქაური რად მინდა! — შესძახა ნონამ იასონს და თბილისის ფაბრიკაში დამზადებულ საკრავებს ამრეზით ვახედა.

— აკი მოგახსენეთ, ქალბატონო, უცხოური მხოლოდ ერთი-ლა დამრჩა, სარდაფშია შენახული, მტვერს მოაშორებენ და მოგართმევთ. — მოიბოდიშა იასონმა და ამ დროს დარბაზში შემოსულ ლურჯხალათიან მუშას გასძახა:

— შაქრო, როგორ არის საქმე?

— ისე, როგორც თქვენ გინდათ! — უპასუხა შაქრომ იასონს და რატომღაც თვალი ჩაუჭრა.

— უზრდელი ყოფილა, — გაიფიქრა ნონამ დარბაზიდან აჩქარებით მიმავალ მუშაზე და „მუსიოს“ ტიგრანას თხოვნით მიმართა: — დაუკარით რაიმე, სანამ უცხოურ პიანინოს ამოიტანენო.

— მზად ვარ ვაგართოთ! — თქვა ადამის წლის „მუსიომ“, რომელსაც ლიმომა პირში შერჩენილი ერთადერთი კბილი გამოუჩინა და პიანინოს მიუჯდა. გულმოდგინეთ აბრაგუნებდა იგი ძეხვებივით დასიებულ თითებს კლავიშებზე, ეტყობოდა მაინც და მაინც დიდი პედენა დამკვრელი არ იყო.

— არა უშავს, ცალი თითით „სულიკოს“ დასაკრავად გამოდგება ეს პიანინო, მაგრამ სათქვენი არ ვახლავთ! — ჩასჩურჩულებდა „მუსიო“ ტიგრანი ქალბატონ ნონას ყოველ საკრავის გასინჯვისას და უღიმოდა.

თითქმის ყველა საკრავის კლავიშებზე გაინავარდა „მუსიომ“, როცა დარბაზში უცხოური პიანინო შემოიტანეს.

— „მიუღბახ“ — წაიკითხა ექსპერტმა ბურღებით მიმაგრებულ ფირფიტაზე და სახე გაუბრწყინდა.

— უცხოური! — შესძახა გახარებულმა ნონამ და ტაში შემოაჭრა.

თავდავიწყებით დაჰკროდნენ ტიგრანას თითები „მიუღბახის“ კლავიშებზე. წარმოდგინეთ, რომ ახლა არც დაკვრა ეშლებოდა.

— აი, მესმის პიანინო! — განაცხადა „მუსიომ“ ავტორიტეტულად და იასონს ბოდიშის მოხდით მოახსენა: — არ გეწყინოთ, მაგრამ ჩვენ ჯერ ძალიან ბევრი, ძალიან ბევრი რამ გვაკლია, რომ ჩვენი საკრავებით უცხოეთს შევედაროთ. სად პიანინო „თბილისი“ და სად „მიუღბახი“!

— მართალი ხართ, სად ის „თბილისი“, სად ეს „მიუღბახი“! — თქვა უცებ დაცინვით ფაბრიკის დირექტორმა. — არაერთი თქვენისთანა მოსულა აქ, არაერთხელ შეუწუხებიათ ჩემთვის გული, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ პიანინო „თბილისს“ თქვენს გამოსააშკარავებლად უცხოური ფირფიტა მივამაგრე. — აუწია ხმას იასონმა და თბილისის ფაბრიკის ნაწარმ საკრავს „მიუღბახის“ წარწერა აავლიჯა.

— თბილისის პიანინო „თბილისი“!? — შესძახა ნონამ გულშელონებულად და რატომღაც იატაკიდან უცხოური საკრავის ფირფიტა აიღო. სიჩუმე ჩამოვარდა. ბოლოს: ნონამ ფული მაინც გადაიხადა, ერთი მძიმედ ამოიოხრა და გაჰყვა მუშებს, რომლებსაც პიანინო უკვე საბარგო მანქანისაკენ მიჰქონდათ.

ფაბრიკის დირექტორმა იასონ კერესელიძემ ღიმილით მოიოხა გული და ექსპერტად მოსულ ტიგრანას დაუწყობებდა...

„მუსიო“ ტიგრანა მოხერხებულად გაპარულიყო.

გულახდილად უნდა ვთქვა: ამ ამბავს სანიანგოდ არ ვაგებდი, გუშინწინ შემთხვევით ნონასთან რომ არ ვყოფილიყავი სტუმრად. ჩემი თვლით ენაზე თბილისის ფაბრიკაში დამზადებული მისი ახალი პიანინო, რომელსაც მიქელილი ჰქონდა კოხტა ფირფიტა წარწერით „მიუღბახი“.

ყოველგვარი უცხოურის მოყვარულმა ქალბატონმა სჩანს მოახერხა და თვალთმაქცურად დაიცვა თავისი სტილი.



ფერმის გამგის იგავი



ერთხელ დიღით მამადმა
გამოალო ფანჯარა,
დინახა ჭიშკარზე
აკაკუნებს ყვანჩადა.
— „დავილუპეთ, კაკანავ!“ —
ცოლს შესძახა ჩუმად შინ,
როცა თვალი მოჰკრა ყვავს
რევიზორის ჯუბაში.
ყვავმა სერიოზულად
გადაშალა დავთარი:
— „აბა, ერთი მეჩვენოს
ფერმის გამგე სად არი?“
— „აქ გახლავართ, უფროსო!“ —
უპასუხა მამადმა,
კოხტა დეზებიანმა,
გაქნილმა და ფრთამაღმა.
ყვავმა მამლის წითელ ქედს
აღმაცერად ახედა,
გაისწორა სათვადე
და ეს უთხრა მკვახედს:
— „ხმები დადის, თითქოს შენ
ფერმა დაისაკუთრე.
რად გაოცდი? არ გჭერა?
ახლავ დაგისაბუთებ:
სახლში გაგიზიდა
მთელი ფერმის საკვები
და ქათმები კი არა,
დამშეულან თავგებიც.
თქვი რამდენი ქათამი
გაყიდე და დაკადი,
ღმერთმა იცის, არც ერთის
არ მრგებია ბარკადი.
არა, ძმაო, დრო არის,
რომ სამართალს გადაგცე,
თორემ სოფელს დააქცევ
შენ თუ ასე განაგრძე!“

მამადმა თქვა: — „თქვენც ხედავთ,
რომ არ მიხსნის დანა კბილს,

მაცადეთ და ორ დღეში
მე დაუფარავ დანაკლისს!
თქვენდა პატივსაცემად
ფერმაც არ დაიძინებს,
თქვენთვის დავაჩეკინებ
ინკუბატორს წინიღებს!“ —
რევიზორი ამ სიტყვამ
დაატკბო და დათაფლა,
გაუცინა მამადს და
წასჩურჩულა ხმადაბლა:
— „რარიგ მაღლობელი ვარ,
მთელი ფერმის მშვენიეზავ,
შენ რომ მართლა გაგწირო,
მე თვით რა მეშველება!“ —

თითქოს ამით დამთავრდა
დავა სწორუპოვართა ..
მაგრამ უცებ ფერმაში
თავმჯდომარე მოვარდა!
ყვავი უმად აფრინდა,
ხოლო ჩვენმა მამადმა,
თურმე, საუბედუროდ,
ვერ მოასწრო დამადვა...
თავმჯდომარეს ანაზად
კომისია სწვევია,
თავმჯდომარეს ყოველთვის
მასპინძლობა სწვევია!
არ მოსვდია ფიქრადაც
სანოვანე ეყიდა,
ფერმის ცოდვა ისედაც
სქედ კისურზე ეკიდა.
გადისწორა უღვაში
პატიოსან კაცივით,
კომისია მოხიბლა
იმ დღეს მამლის საცივით...

ასეთია, მკვიახველო,
ფერმის გამგის იგავი,
მეც იმ მეურნეობის
რევიზორი ვიყავი.
მიხეილ გოგიაფილი



ნაზ. გ. ფირცხალავასი



ამერიკელებო წაეთრიეთ შინ! — აწერენ პარიზის ქუჩებს ფრანგი პატრიოტები.

ამერიკელმა საქმის კაცმა დეივ პერსონსმა უმალვე შენიშნა, რომ ამ წარწერებს აჩასები კითხულობენ და სარეკლამოდ გამოიყენა: წარწერას წარწერა მიუმატა და, როგორც გაზეთები აღნიშნავენ, იგი მთლიანად ასე იკითხება: „ამერიკელებო წაეთრიეთ შინ პან ამერიკენ აირაღების თვითმფრინავებით!“

რა თქმა უნდა, არც ფრანგ პატრიოტება და არც სხვა ქვეყნის მშვიდობისმოყვარე მოქალაქეებს არაფერი აქვთ საწინააღმდეგო, რომ ამერიკელები წაეთრიონ შინ თავისი მარკის თვითმფრინავებით.

არც ამერიკელთა უტიფარი „გონებაშავილობა“ გასაკვირველი;

მისტერ პერსონსი, ალბათ, არაფრით არ იგრძნობს თავს შეურაცხყოფილად ოღონდ კი ორიოდე დოლარი მოიგოს...